შემოსავლების
სამსახური

## აუდიტის დეპარტამენტი

# ბრძანება N 19892

07/04/2014

**შპს „გამა დიზაინი 2007“ის (ს/ნ 205220517) საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმების შესახებ**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დაინიშნოს **შპს „გამა დიზაინი 2007“ის (ს/ნ 205220517)** საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშწორების კუთხით;
2. შესამოწმებელი პერიოდი განისაზღვროს 2008 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 აპრილამდე, მოგების და ქონების გადასახადების ნაწილში შემოწმდეს 2008, 2009,2010, 2011,2012 და 2013 წლების საანგარიშო პერიოდი;
3. შემოწმების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 8 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით;
4. შემოწმება დაევალოს აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს გასვლითი საგადასახადო შემოწმების მე-3 სამმართველოს უფროს აუდიტორს მარიამ რაზმაძეს;
5. **შპს „გამა დიზაინი 2007“ის** სსკ-ის 51-ე მუხლის შესაბამისად გადაეცეს გადასახადის გადამხდელის უფლება-მოვალეობების განმარტებითი ბარათი;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს შემოწმების მთავარი სამმართველოს გასვლითი საგადასახადო შემოწმების მე-3 სამმართველოს უფროსს დავით ქინქლაძეს.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურში (მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16) წერილობითი ან ელექტრონული (www.rs.ge) საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის გ. პატარიძის 2014 წლის 7 აპრილის №36960-21 სამსახურებრივი ბარათი.

ბაქარი დევდარიანი

ბ.

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი

შემოსავლების
სამსახური

## აუდიტის დეპარტამენტი

# ბრძანება N 23788

06/05/2014

**აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 7 აპრილის №19892 ბრძანებით დანიშნული კამერალური საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების და ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. **შპს „გამა დიზაინი 2007"ის (ს/ნ 205220517)** საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმების 2014 წლის 7 აპრილის №19892 ბრძანებით განსაზღვრული შემოწმების ვადა გაგრძელდეს 2013 წლის 6 ივნისის ჩათვლით.

2. შეტანილ იქნას ცვლილება **შპს „გამა დიზაინი 2007"ის (ს/ნ 205220517)** საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმების 2014 წლის 7 აპრილის №19892 ბრძანებაში. კერძოდ, მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. შემოწმება დაევალოს აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს გასვლითი საგადასახადო შემოწმების მე-3 სამმართველოს მთავარ აუდიტორს დავით კანდელაკს, უფროს აუდიტორებს მარიამ რაზმაძეს და სოფიკო დოლიძეს;"

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურში (მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16) წერილობითი ან ელექტრონული (www.rs.ge) საჩივრის წარდგენის გზით, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: აუდიტის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს უფროსის დ. ქინქლაძის 2014 წლის 6 მაისის №48844-21-14 მოხსენებითი ბარათი.

ლევანი ბაინდურაშვილი

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი